

# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

წამბების № 232.

ხუთშაბათი, 1 ივლისი 1904 წ.

გაზეთის № 2540

### მოლა ირამეს თხზულება

#### ქველა სპარსული თქმულება

დიდ სწავლულ და გონიერ კაცად ითვლებოდა მოლა ირამე თვის მოძმეთა შორის. სპარსეთს გარემოცავდა ვაიოქვა ხახელი იმისმა სიბრძნემ. სხვა-და-სხვა ქვეყნებდან მრაველი ხალხი მოდიოდა იმასთან ბრძნულ დარიგების მოსამსენად. სახლში დაბრუნებისას ყველა ღმერთს თაყვანს სცემდა, რომ

ქვეყნად ამისთანასი-ბრძნე მოავლინა. მაგრამ თვით მოლა ირამე მკაუფილი არ იყო თავის მდგომარეობით. ბევრი რამ სურდა ხალხისთვის გაეზიარებინა, მაგრამ ის აზრი, რომ მხოლოდ რამდენიმეს შეეძლო იმის სიბრძნის მოსმენა, გულს უკლავდა დიდებულს სწავლულს.

დიდხანს იფიქრა ირამემ, თუ რა გზით გაეცრულებინა ქვეყნიერობაზე თავისი სწავლა-ცოდნა და ბოლოს გადაწყვიტა, წიგნად დაეწერა. დაეწერა ისეთი წიგნი, რომლის წაკითხვის შემდეგაც ყველას რამე ნუგეში მისცემოდა, გული და გონება განსეტყუებოდა. „სადაც ჩემი ხმა არ მისწვდება, ჩემს მაგიერობას გასწევს ჩემი წიგნი და ამით მთელს სპარსეთსა და ინდოეთს მოეფინება ჩემი სიბრძნის სხივიო“, — გადასწყვიტა ირამემ და დაიწყო წერა.

ექვსის წლის განმავლობაში დღე და ღამე შეუწყვეტებლად მუშაობდა ბრძენი ირამე და ბოლოს, როგორც იყო, უკანასკნელ ფურცელს ათავებდა. იჯდა დიდ ტბის ნაპირს, წინ იდო წიგნი და თაყ-

ნასკნელ ვეკარის დასაწერად, ღრმად ჩაფიქრებული უფსკრულსავე გაიყურებოდა. კიდევ ორიოდე სიტყვა... და ექვსის წლის შრომა დასრულებული იქნება.

— რასა სწერ, ირამე? — უცებ გაისმა იმის ყურს უკან ვილაციის ხმა.

მიიხედა ირამემ და დაინახა უცნობი კაცი. ხელში გოხი ეჭირა, ძველი ტანსაცმისი ეცვა და ერთის შეხედვით მწყემსს მიაგავდა.

— წიგნსა ვერ ხალხის საკითხავად, — მიუგო ირამემ: — ექვსი წელიწადია ამ შრომას ვეწევი და გთხოვ, თავი დამანებო, ნუ მიშლი, რადგან დღეს უმეველად უნდა დავითავგო.

— ერთი მომეცი, თვალი გადავივლო მე წიგნს წიგნს! — წარმოსთქვა უცნობმა და ციფისა და ბრძანების კილოთი და ხელი გაუწოდა.

მოლა დემორჩილა და გადასცა წიგნი. უცნობმა ჩამოართვა, ერთი თვალი გადავივლო პირველ ფურცელს და საჩქაროთ გადაისროლა ტბაში. ირამეს თავზარი დაცა. მთლად ჯან კალი დააწყებინა.

— რა ჰქენ, შე უბედურო გლახავ! — შემყვინა თავზარდაცემულმა ირამემ: — რადღამილუბე ექვსი წლის შრომა? რად დალუბე ისეთი განძი, რომელიც დიდის ტანჯვით შევადგინე ჩემ მოძმეთა საკეთილდღეოდ?!

— შე წიგნი გადავადგე წყალში, რომ ჯერ თითონ შენ დაგაყენო სწორე გზაზე, ჯერ შენი სიბრძნე გაეისპეტაკო, — დიმილით უპასუხა უცნობმა: — რომ გადაგაჩვიო იმ სიყალბეს, რომლითაც საცხა შენი წიგნი. თუ ძალიან გეტანება, ისევ დაგბრუნებ წიგნს, მხოლოდ მე, კი თავისდღეში ვეღარ მიზილავ: ან მე და ან შენი წიგნი. — სთქვა ეს მოხუცმა და გოხით წიგნს ტბაში ძებნა დაუწყო და მალეც გამოათრია.

ირამე გაოცდა, როდესაც თავისი წიგნი დაინახა უცნებლად მშრალი, დარწმუნდა, რომ მის წინ უბრალო მომავლადი არ იდგა და უცნობ მოხუცისა ერთი გამოუთქმელი „შიში“ დაუპატრისცემა ჩაუვარდა



მოლა ირამე — სურათი მინათის

— მითხარ, სწორედ, მოლავე, — შეგეითხა მოხუცი ირა-  
ნისა. — ენდა თუ არა, რომ ვიყა შენ მასწავლებლად და ავი-  
სნა როგორ შეადგინო ისეთი წიგნი, რომელსაც შენს საბუნ-  
გონება გაუსწავტავს?

— მინდა, მასწავლებელი, თან გამოგვეცემა! — შეგეყვირა  
ირანემ და ახლა თვითონ გადაისრულა წიგნი ტახაში.

გაუღდა უცნობი გზას და დაედგინა ირანემ უკან. ხმა-  
ამოუღებლად გაიარეს მთელი უდაბნო. მიადგნენ დიდ მდი-  
ნარეს. ფონი არა სჩანდა, ვალმა გასვლა შეუძლებელი იყო,  
წყალში ისე იყრა აიღებელი, მაგრამ უცნობმა დააბჯინა ზედ  
წყალზე გზობი და, თითქო დიდ-მიწაზე დადისო. გაიარა  
წყლის ზედა პირსე.

— მასწავლებელი, მე რაღა ექნა? — დაუყვირა ამ სანა-  
ხავითა გაოცებულმა ირანემ.

— უშინობად, დარწმუნებით მომყვე უკან! — დაუხუტებოთ  
მიუერო უცნობმა.

გადადგა ფეხი ირანემ და — ჰოი, საციკველებავ? — წყა-  
ლი იმის ფეხქვეშ თითქო ცეცხლად დაიბაქცო, თავისუფ-  
ლად გაიარა ზედა პირზე. ჟეს მივდეგ უკან? — შიშით გაი-  
ფიქრა იმან. — რად ეგმორჩილე-  
ბი იმის ბრავებთან ახე ადგე-  
ლად? ალღობი უფრო მრწამს,  
მაგრამ იმის ბრძანებითაც არ  
გავივლიდი წყალზე ასე უშინო-  
რად! ვინ არის, რა ძალა ასე-  
თი, რომ, როგორც ლმერთა,  
თითონაც თავისუფლად დადის  
წყალზე და სხევესაც ატარებს! —  
გაფიქრა ის თუ არა ირა-  
ნემ, მაშინვე შენიშნა, რომ  
წყალში იძირებოდა. შიშისაგან  
თავსარ — დაცემულმა დაუწყაო  
ხეცქნა-მუღარა უცნაურს მას-  
წავლებელს:

— მითხარ, მასწავლებელი,  
ვინა ხარ? რა სულიერი ხარ?  
აქამდის ნამდვილი მართლ-მართ-  
წმუნე მაჰმადიანი ვიყავ: თა-  
ყვანს ვცემდი მხოლოდ ლმერთს  
და მის მოციქულს მაჰმადს.  
ეხლა რა მიზეზით უნდა ეც-  
მორჩილებოდე? ვინა ხარ? რის-  
გან მოხდა, რომ, როგორც კი  
შენზე ექვი შემგებარა, — მა-  
შინვე წყალში ჩაძირვა დავი-  
წყე?

— მე ვარ შამსი (სინათლე,  
მზე). — უბასუხა უცნობმა: — ვრ-  
თის სიტყვით, მე ვარ შტკიტე  
გოღნა, მე ვარ ის უპირვე-  
ლესი მსახური ღვთისა, რომელ-  
საც ჯერ შენ არ იცნობ.  
როდესაც მიხვალ იმ რწმენამ-  
დის, გაიცნობ იმ ლმერთს, რო-  
მელსაც მე ვიცნობ, შენც და-  
იწყებ პაერში ფრენას, გაიცნობ  
სიმაართეს და გეცოდინება  
ყველაფერი. მაგრამ სანამ ყვე-  
ლა ეს შენთვის უცნობა, ასევე გულის სიწმიდით ჩემი სა-  
ხელი და თავისუფლად გამოვიღი მდინარის ზედა პირზე.

— ოჰ, ჩემო ძვირფასო მასწავლებელი! — შეგეყვირა ირა-  
ნემ და იმავე წამს შენიშნა, რომ წყალზე თავისუფლად გა-  
დადგა ფეხი.

გავდნენ წყალს და მიუხალებდნენ ქალაქს. შამსი უღებ  
შორიარა. მიბრუნდა ირანის ოა უბნისა:

— ეხლა კი უნდა შეასრულო ჩემი ბრძანება!  
— ყურს გვიღებ, მასწავლებელი! — უბასუხა მორჩილად  
ირანემ.

— წად ამ წამს ქალაქში და ღვიწო მიხდიდე.  
თითქო თავზე მებ დავცაო, ისე მოესმა ირანეს ეს და-  
ვალბა. ირანეს, სწორედ მართლ-მართლწმუნე მაჰმადიანს,  
ღვიწო თავის დღემოთ გემოთ არ ენახა. ნამდვილ მაჰმადიანს  
იმ ქუჩაზე გველასაც კი უკუბასუხა რჯული, სადღე უკანას-  
დუქნება, და ეს კი ღვინის ყიდვის მიზრძანებოს! — გაფიქრა  
თავ-ხარ-დაცემულმა ირანემ.

— რას ბრძანებ, მასწავლებელი! — შეგეყვირა ირა-  
ნემ. — განა არ იცო, ჩემი რჯული რა სასტიკად გვიკრძალავს  
ღვინის ხელის ხლებასა?!

შევიღმა ღვიწომმა გაღვიწინა შამსის სახეს.  
— შენ გერ წყვილიდით ხარ მოცული, — უბასუხა იმან:  
არ იცო, რომ ქვეყნად რამდენიმე სჯულია და ოცნათი კი  
შეოლოდ ერთია, რომელსაც სამართაობა ეწოდება. ყოველ  
ჯგუფს ხალხის თავთათის სჯულის კანონი აქვს შედგენილი  
და რასაც ერთი კარგ! ეთახის, ის მეორეს სიამაგულე მო-

ანია. შენი სჯული ბრძანებს,  
რომ ღვინის ახლო არ მიე-  
კარო, მაგრამ ღვინო  
ღვინის სასარგებლოც არის კა-  
ციათვის. ახა ეცადე, რომ  
შენ სჯულის კანონზე უფრო  
ამაღლებ და გავმართ ღვინის  
სასყიდლად. აი, ამ წამს რო-  
გორ კანკალბ, ავად ხარ, ღვი-  
წო მივიტყვებ. ნუ გავინებ  
სჯულის უბრალო კანონი.

ღვინის გაქირვებით გავმართ  
ირანე ქალაქისკენ ღვინის  
სასყიდლად, მაგრამ ძალიან  
გაუკურდა ღვინის სარდაფში  
ჩასვლა. ახლო-მახლო კარგა  
ხანს იტრიალა და ბოლოს დაი-  
ნახა ერთი აშხალი (უბრალო  
მუშა), დაუბახა, მისცა ერთი  
ვერცხლი ღვინის საფასად, ერ-  
თიუ საჩუქრად და შეგეცემა,  
სარდაფში ჩადი, ღვინო მიყიდ  
და მომიტანე. ამაღამც სია-  
მოყენებით აუსრულა და მიუ-  
ტრანა საეს საფინე, რომელიც  
ირანემ საჩუქრად შეიძლო წა-  
მოსასხმელს ქვეშ და გავშურა  
მასწავლებლისაკენ.

— შამსი გულცივად და წარბ-  
შევიტით დაუხედა.

— არ მინდა შენი მოტანი-  
ლი ღვინო! — შენ მეც მომა-  
ტყუე და შენი თავიც. მე ვიბრ-  
ძანე, თვითონ გეციუნა ღვინო,  
შენ კი არ შეასრულე ისა. ამას  
გარდა მოკრთამე მუშა და იმას  
ჩაღვინე ის, რაც შენ სირი-  
ცხილად მიგანდა. წადი ეხლავ  
ქალაქში, შენ თვითონ ჩადი სარ-  
დაფში, იყიდე ღვინო და მომიტანე ცხადლად და არა ჩუბად,  
წამოსასხამ ქვეშ.


ხელო-ახლო გავმზავარა ირანე ქალაქისკენ ღვინის სა-  
სყიდლად. იქ მოვიდა მაჰმადის, სანამ ქუჩებში სრული სი-  
წყნარე ჩამოვარდებოდა. როდესაც დარწმუნდა, არაფერი ღვი-  
წობასცო, ჩაიჭრა სარდაფში დავა-ფუცი თიღა ღვინო, დაიჭი-  
რა ხელო დიდი და სარქაროდ აჯანა მასწავლებლისკენ.

1-7-3-4



მარშალი თაბა

იაპონიის ჯარის მეთაურ-სარდალ.



ადმირალი სკრადლაკა დიდ იკანეს ფლოტის უფროსი.

არ გაუვლია რამდენიმე ნაბიჯი, რომ გზაზედ უცნობი შეეფეთა.

— რა მიგაქვს, მოლაი? — დაეცოთა მგზავრი.  
— მმარია... უბასაზა ირამემ და სირქცილისიგან გაწოლელულმა ფეხი აუჭქარა.

— შენ კიდევ მომატყუე! — მიძახა ირამემ მისელის უმაღლესე შამსიმ: — ისევ შეგრცხვა ღვინის ყიდვისა და სანამ ქუჩა არ დაკალიერდა, სარდაფში არ ჩახვიდი, რომ ხალხს არ დაენახე. მგზავრის რაღაზე ატყუებუდი, რომ უთხარა, ღვინის მაგიერ მმარი მომაქესო. ორივე ასე მოგვატყუე და შენ აპირებ, სიმტკიცისა და სიბრძნის მასწავლებელი წიგნი დასწერო. როგორ უნდა გაუსაბეტაკო და განუმტკიცო ხალხს განება, როდესაც ჯერ შენ ასე ბრძალ ემორჩილები ხალხის ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას; მონა ხარ, მხდალი მონა! უკანასკნელად გეუბნები: წადი ქალაქში, იციდე სარდაფში წითელი ღვინო თავდაუტოებელი ჩამოიკიდე გულზე თოკით, და ცვეკა-თამამის დროს ღვინო შხაპუნს დაიწყებს და თეთრს წამოსასხამს წითელი ზოლებით ავიკრულებს. ამა წადი!

ირამე ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

„შევიაროლო მასწავლებლის ბრძანება?“ — ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩემ სარწმუნოებასთან გავეწყვიტო ყოველივე კაცშირა, ჩემ საყვარელ ხალხთან, რომელიც ჩემს სიბრძნეს თავყვანს სცემს. გაექლო ფეხით ის, რაც მთელის საუკუნოებით ყოვილა?“, გაიფიქრა ირამემ და სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა:

— ოჰ, შამსი, დაეიჯერო, ეგ აუცილებელია, უთუოდ უნდა წავიდე?

— უკანასკნელად გკითხები, გინდა თუ არა, იცყო შენი ხელმძღვანელი?

ერთ წამს კიდევ ჩაფიქრდა ირამე და შემდეგ მტკიცედ უპასუხა:

— მინდა, მასწავლებელიო. თავდაუბრუნდელად გაემართა ირამე სარდაფისაკენ. თამამალ შევიდა, იყდა ღვინო, ჩაასხმევინა ღიქში და წითელ ღვინით სასე თავდაუხურავი ბურკელი ჩამოიკიდა კისერზე. თუმცა ხალხი გაოცებით და თანდაცინებით შემოყურებ-

და ირამეს, მაგრამ ის სრულიად ყურადღების არ აქცევდა. თამამობით გამოვიდა გარედ და გაემართა მასწავლებლისაკენ იმ ქუჩებში, რომელიც უფრო ხალხით იყო სავსე. წითელ ღვინის ნაშებები ყაყაოსაგან აჭრებულულ ყანასავით აფერხდებდა იმის ბამბასავით თეთრს წამოსასხამს. და ამ დროს უცნაური რამ სდებდა იმის არსებობაში: რამდენიც უფრო ესერებოდა წამოსასხამს, აქვედ უფრო გული უმწვიდებოდა, რაღაც საამო ტრუნტელი უფლიდა ტანში. თვალზედ ხომ ისეთმა ციურმა ნათელმა გადაუარა, რომ რაკცი კამდის იმისთვის ლხილავი და უცნობი იყო, ენლა ყველა ცხადად წარმოუდგა. სრულიად არ ენაწიდა, როგორ დასციონდნენ, არა გრძობდა, ქვეებს რომ ესერიდნენ, დამწვიდებული და მხიარული თამამად მიდიოდა ქუჩაზე.

ქალაქის პირშივე მოეგება მოწაფეს მუსტაფე სახე — გაბრწყინებულმა შამსი. ალტაცებით შესძახა:

— დიდს ტანჯვით აჯობე შენს ცრუმორწმუნეობას! წადი ეხოვე სახლში და მიღე ხელში კალამი. სწერე, რამდენიც გინდა, შენი ნაწერი იქნება სიმტკიცისა და სიბრძნის მასწავლებელი, რადგან შენ თვითონ აიხსენ მონობის უღელი. ენლა აღარც ხალხის წყენისა და დაციენისა შეგმიწდება და აღარც მონად იქნები შენგან განდევნილ ცრუმორწმუნეობისა.

ს. გაცეშეაღას.

### პარლის ფერფლი

გატულ მენჯესას.

(ღასსრული\*)

ბოლოს, უკანასკნელად ევამ გადასწყვიტა ვარდის მოსპობის აზრიც, რასაკვირვებელია, კარვად იცოდა, რომ ქალი სამულამოდ ვერ მოსპობდა, ძირს ვერ ამოუღებდა ქვეყანაზე ვარდის არსებობას. აი, ეს იმის წინ ამოსული ვარდი, მართალია, მოკვებოდა, მაგრამ ახლად მომცინარე, ლიდ გაზაფხულის პირზედ იგი, უეცველია, უფრო მეტის სიყველუტით



აბონელი ვარის-კანი ბრძიდის შემდეგ დლოურებს სწერენ.

\*) აბ. სრატმბანი ღამბამა № 230.

მიწის... მაგრამ, რაც უნდა მომხდარიყო, ქალს მიანიც უნდოდა, მოქიშისათვის შური ეგო, განსუსტვრეულ სიძულვილის ნაღვლივით მისათმე მოესპო და მისი სიკვდილისა და მოსპობის ცქერით გამოძვარიყო, რომ როგორც თავისი შეუკავებელი მწერ გავაზნობს სურვილი დატყვევებულნი.

„დილა, დილა, მე მოესპო იმას!“ იმერებდა ბრაზმორეული ახალგაზრდა ქალი და თავის პაწაწინა მარგალიტ ფეხებს გაჯავრებულ მოწისა სცემდა.

მაგრამ როგორ მოსპოს? იმას სურდა, მსხვერპლისათვის საბარკო, საშინაო სასჯელი რამ მოეგონებინა. მოგონა კიდევაც... გაღასწყვიტა, ვარდი ნაკუწ-ნაკუწად აქიოსს, ფეხით გასრისოს, დაგლიჯოს და მერე იმისი დაგლეჯილი ნაწილები ქაბის შეუბრალებელს ზვირთებს მისცეს. ერთხელ ქალმა დიხახა ჰაერში მიმჭროლი მიმინა, რომელიც ერთის თვალის დახამხამების შემდეგ გამოქანა, გააპო ჰაერის ზვირთნი, თავ-გამეტებით დატყვევრა საბარკო ტორაღოს და შუაზე გაგლიჯა იგი. ეგის უნდოდა, რომ ვარდიც სწორედ ამნარად დაესაჯა და მოესპო. მაგრამ ამხელ როდ შეტრებულა. იმის წარმოდგენით ეს სულ უბრალო სასჯელი იყო. იმას ვარდის მოსპობა ისეთნარად სურდა, რომ მოქიშის არსებთან ისეთი არაფერი აღარ დარჩენილიყო დემიწიზე, რომელიც კი ოდნე მიანიც მოაგონებდა აყვავებულს ღვითის სიმშვენიერეს და... ქალმა უკანასკნელად საბოლოოდ დადსწყვიტა ვარდის დღეც...

ამ მიზნის განსახორციელებლად ქალმა შეაგროვა ვამპირი ფოთლები, კოტაღონი ფიხიცი, მოაწყო პატარა კოკონი, წუაქი და ცეცხლი და... ჰაერში ათი ავარდა. შემდეგ ქალი გაქანა თვალში ამოღებულ ალღასიკენ, გამწარებულმა მოკლიცა უმშვენიერესი ვარდი და შეუბრალებელ ცეცხლის აღს მისცა. მზიარული მზე, თითქმის დარცხვნილი ქალის ასეთის საქციელთათა, ღრუბლის ნაკერს ამოეფარა და დაიმალო... ოჰ, როგორის საცოდაობით დიკრუნხნენ გაზაფხულის ვარდის პაწა, ნორჩი ფურცლები, რა უბედურის სატანჯველს გრმობდნენ ის საწყვეტი გახურებულ ალის ზვირთთა შორის! გულსაკლავი იყო მათი უნაღვემო კენსა და წუწური, რომელიც მიჰქონდა შობს ქარსა და სამარადისოდ მოსაგანველ ტანჯვას აუწყებდა მინდობს, მთას, ტყესა და ეგლს. საშიშარს სანახაობას წარმოადგენდა ის არც-მარე, სადაც განხორციელებული სიმშვენიერე, სიკაცხვე, სიწმიდე-ყვლაფერი ეს ჰქრებოდა, საუკუნოდ ინთებოდა იმ შეუბრალებელის ალის უფსკრულში...

მოლოს, როგორც იყო, აღიც ჩაქრა. უტურფესისა და უმშვენიერესის დღეში აყვილის ნიშნად დარჩა მხოლოდ ფურცლი, რომელიც თეთრს მტერის მიემგავსებოდა. ქალი კი, რომელსაც ამის შემდეგ ედგმუ მოქიშე აღარ ეყოლებოდა იმ კმაყოფილების ნიშნად, მფურსს ღიმილს მისცემოდა და

შორიდან ამპარტაენულად უცქეროდა ამ ფერფლს. ვამპირულუბების ქალის ორი მელნის ტბა განსუსტვრეულ ტრფობის ეშს იწყებდა. ბროლის გულ-მკერდი და ყელი კვლავ მოღერებით გაეშტრებინა და ასე მალა გასცქეროდა დარცხვნილს ცის მნათობს. ამ ბრწყინვალე დღესაწაულობით ალტაცებული ქალი ისევ უწინდებურად ხის ჩრდილ ქვეშ სჯდებოდა და თავის პაწაწინა ოქროს ფეხების მარგალიტ თითებს გატაცებულად ჰკაცნოდა...

უსაკვარლეს ვარდის ასეთ საშიშარ სიკვდილით ჩვენ, პეველნი ედებოდა, მწარედ გულმოაკლულნი დავჩიბთ და ვსტიროლით დაკარგულ სიწმიდის მოსპობას. ჩვენს მისდამი სიყვარულს საზღვარი არა ჰქონდა. ჩვენ დავასდებოლით ხოლომე ედგმუ იმის საგანგებოდ ვადმოშვერდოს, ნახევრად ვადმოშლით სიკვანძს, ვსწუნვლით იმის ტუბოს წვეწვ, ვსტკებოლით და ვნაყარებოლით იმის საკვირველს სურნელგაყვანებით. ვგრძნობოლით სრულს ნეტარებასა და სიამეს... ემ, ეხლა იგი აღარ არის! ჩვენ, პეველთა გულ-დამწვარი გროვა, დამღუპველ კოკონის გარშემო გტრიალებოლით და ქირისუფლობას ვსწვევით. ბევირ ჩვენგანი შუაგულ ცეცხლის გამოღებულს აღში ჩავადრ, რომ ჩვენი საყვარელი როგორმე ვარაგვესნა, მაგრამ გვიან იყო: თვითონვე ვაცოფებულ ალის მსხვერპლნი შეიქნენ და მტლედ დადენენ უსაკვარლეს ვარდის. აი, რისთვის დავფრინავთ ხოლომე ეხლაც ყოველივეს ცეცხლზე და ვარშეო ვუვლით, დღესაც ასე გვეგონია, რომ ვარდს სწავდენ... როგორც ალი მინდოდა, ცეცხლიც ჩაქრა, ჩვენ სასოწარკვეთილებით ვეცით საყვარელის უქვირფესეს ფერფლს, მოვიხვეტეთ იგი ჩვენს სუბუტ ფრთეთა ქვეშ და დავაქვს მუდამ თამს ყველგან, მთელ დედამიწის ზურგზე, რომ ვაღუცეთ საუნჯედი მომავალ მოღვამს და თაობას, როგორც სიწმინდე და დეუმრეტელი წყარო სიკაცხვისა. ჩვენ დავფრინავთ მალა-მალა, ზღვანი და ხმელთანი ძირსა რჩებოდა; ჩვენი სიწმინდე ქვეყნის ნაწიერებას დათრგუნავს, მოსპობს, მზე ყვლაღ მზიარულიად გამოაჩინებს და ედგმუ კვლავ ბრწყინვალეობით თავს იჩენს დაკარგული სიმშვენიერე და სამოთხის მენდერება, სიამე...

— ეხლა შენ, მგეობარო, ყველაფერი იცი, — დასარულა პეპალამ. — აწ კი მე შეიღობო!

— მოითმინე... საით მოვფრინავ ასე სიჭკარით? მე მსურს, მგეობარო, კიდევ ბევრი რამ ვკითხო და შენც მესალუბო! — შეყვიერე, მაგრამ პატარის საყვარელი ქმნიერება თამაშით ნიავს მიჰქონდა, თვალცი ველირ შეგასპო, აყვავებულ ბუქეთა შორის ისე განქარა...

სიამეჯეა.

